აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება №07\2004

31.05.2004 წ. ქ.ბათუმი

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთების ვადის განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობის შემთხვევაში თანამდებობრივ მდგომარეობასთან, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით მიმართვამდე, კანდიდატების თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთების ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2004 წლის 2 ივნისი.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე